პროექტი

# აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ხელშეწყობის საკოორდინაციო საბჭოს დებულება

## 1.ზოგადი ნაწილი

1.1.აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ხელშეწყობის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში საბჭო) არის საუწყებათაშორისო სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილისა და 2 ოქტომბრის დადგენილებების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით სამთავრობო გადაწყვეტილებების მოთხოვნათა ოპტიმალური რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს შექმნის მიზანია ხელი შეუწყოს აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში ჩაბმული სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციას, იდეების, წინადადებების შეჯერებას, ანალიტიკური მასალების მომზადებას და წარდგენას ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციებში, ეროვნული უშიშროების საბჭოში.

1.2.საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით. საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

## II.საბჭოს მიზანი, ამოცანები და უფლებამოსილებანი

საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების . სახელმწიფო პოლიტიკის უფრო ეფექტური რეალიზაციისათვის ძალთა და საშუალებათა თავმოყრას, სამთავრობო და არასამთ:რობო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას პოლიტიკურ, ეკონომიკური, დიპლომატიური, სოციალური და სხვა რესურსების ამოქმედ. ას ქვეყნის გამთლიანების, დევნილთა მშობლიურ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

2.2.საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ხელი შეუწყოს:

-აფხაზეთში კონფლქიტის მოწესრიგებისათვის პოლიტიკური, იურიდიულ-სამართლებრივი, ეკონომიკური, საინფორმაციო-იდეოლოგიური, სოციალურ-ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციას;

-დევნილთა რეაბილიტაციისა და სოციალური დაცვისათვის ღონისძიებათა კოორდინაციას;

-ღევნილებთან, აფხაზეთში დარჩენილი და დაბრუნებული მოსახლეობასთან მუშაობის კოორდინაციას;

-სეპარატისტული რეჟიმის მხილებას, აფხაზეთში საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევას, მოვლენათა განვითარების პროგნოზებისათვის მიმდინარე მუშაობის კოორდინაციას;

-წინადადებათა მომზადებას კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო ასპექტებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

-წინადადებათა მომზადებას აფხაზეთის რეაბილიტაციის, დევნილთა დაბრუნების, აფხაზეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მოწყობის წინაპირობების შესაქმენლად.

2.3.საკოორდიანციო საბჭო. პრაქტიკული საქმიანობის სფეროშია:

-მოლაპარაკებებთან დაკავშრიებით უწყებებში მომზადებული დოკუმენტების შეთანხმება, შეჯერებული პოზიციების შემუშავება;

-სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებულ შეხვედრებში, ღონისძიებებში ქართული მხარის დელეგაციის შემადგენლობის განსაზღვრა, სამოქმედო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, უფლებამოსილებათა ჩარჩოების განსაზღვრა;

-წინადადებათა თავმოყრა და იდეების გენერაცია კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საერთაშორისო

ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთან და ჩრდილოეთკავკასიის რეგიონებთან ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე;

-სახალხო დიპლომატიისა და "გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანებისათვის" საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაცია;

-აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით მასმედიასთან კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა, აფხაზეთის რეჟიმის საინფორმაციო საშუალებებთან დიალოგის განვითარება;

-აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ხელისუფლებისათვის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება;

-სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების, შეთანხმებების რეალიზაციის ხელშეწყობა, შესრულების მიმდინარეობის ზედამხედველობა.

2.3.საბჭო მიღებული დავალებისა და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა, პარლამენტის დადგენილებათა, სამთავრობო გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში შესატანად წინადადებების მომზადებაში.

2.4.საბჭოს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გამოითხოვოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ინფორმაციები, ანგარიშები, სხვა დოკუმენტები.

## III.საბჭოს შემადგენლობა და მუშაობის წესი

3.1. საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე აფხაზეთიდან, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის ფრაქციის "აფხაზეთი" თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის ფრაქციის "მოქალაქეთა კავშირი" თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

3.2.საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს.

3.3.საბჭოს, საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად, შეუძლია შექმნას მცირე აპარატი ან საბჭოს მდივანთან დააწესოს ორი თანაშემწის თანამდებობა.

3.4.საბჭოს თავმჯდომარე:

-იწვევს და ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს, სამუშაო თათბირებს;

-წარმოადგენს საბჭოს პრეზიდენტთან;

-საბჭოს წევრებთან შეთანხმებით განსაზღვრავს სამუშაო პროგრამასა და საქმიანობის შინაგანაწესს;

3.5.საბჭოს სხდომა ტარდება ორჯერ მაინც თვეში, დანარჩენ შემთხვევაში საჭიროებისამებრ.

3.6.საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

3.7.საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე სისტემური მუშაობის უზრუნველსაყოფად საბჭოს, საბჭოს წევრთა სამსახურების გამოთავისუფლებული მუშაკებისაგან, შეუძლია შექმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები.

3.8.აუცილებლობის შემთხვევაში საბჭოს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტები, შექმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფები და ქვეჯგუფები.

## IV.საბჭოს ფინანსური უზრუნველყოფა, შექმნისა და ლიკვიდაციის წესი

4.1.საბჭო საქმიანობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

4.2.საბჭო იქმნება და საქმიანობას წყვეტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

# აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ხელშემწყობი საბჭოს შესაძლო სტრუქტურა

